ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 280 (7) 16 მარტი, 2015 წ

პრემიერმა მოწინავე რაიონებს შორის ხარაგაულიც დაასახელა

10 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგებლებთან, მერებთან და გუბერნატორებთან შეხვედრა გამართა. მან გასული 2014 წელი შეაჯამა და ის ქალაქები და რაიონები გამოყო, სადაც ეფექტურად და სრულად აითვისეს გამოყოფილი თანხები. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი ესწრებოდა. ბატონმა ირაკლიმ მოწინავე რაიონებს შორის ხარაგაულიც დაასახელა. უფრო დეტალურად, რაზე ისაუბრა შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა თავად გამგებელს გავესაუბრეთ.

„შეხვედრაზე საუბარი მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიმდინარეობაზე იყო. პრემიერს მიეწოდა ინფორმაცია სამუშაოების შესრულების შესახებ, კერძოდ, როგორ მოახერხეს მუნიციპალიტეტებმა 2014 წელს მათთვის გამოყოფილი თანხების ათვისება. ხარაგაულს ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ ჰქონია. ის, რომ ხარაგაული წარმატებულ მუნიციპალიტეტთა შორის დასახელდა, გასული წლების დაუღალავი შრომის შედეგია. 2013- 2014 წლებში რიგი მასშტაბური პროექტების განხორციელება მოვახერხეთ. აშენდა სკოლამდელი აღზრდის 7 დაწესებულება. გვაქვს ახალი კინოთეატრი, დაბის ტერიტორიის გზების 80%-ი მოასფალტებულია. რაიონს წლების განმავლობაში ჰქონდა საავადმყოფოს პრობლემა. ჯანდაცვის სამინისტროს გვერდში დგომით და დახმარებით ესეც მოვაგვარეთ და სულ მალე, აპრილის თვეში, ხარაგაულში უკვე დასრულდება ამბულატორის მშენებლობა, რის შემდეგაც სტაციონარის მშენებლობა დაიწყება. ბიუჯეტის შესრულების კუთხითაც ხარაგაული წინ არის. 107%-ით გვაქვს ბიუჯეტი შესრულებული და ყველა პროგრამა რომელიც დაგეგმილი იყო განხორციელებულია.“

კობა ლურსმანაშვილი პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებულ იმ მოწოდებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაქსიმალურად უნდა შეამცირონ ადმინისტრაციული ხარჯები.

„ჩვენ ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების კუთხით უკვე გადავდგით ნაბიჯები და დაწყებული გვაქვს მუშაობა იმაზე, თუ რომელ მუხლებში შეიძლება შევამციროთ თანხები. კერძოდ, ეს არის სატრანსპორტო, საკომუნიკაციო თუ წარმომადგენლობითი ხარჯები. საწვავზე ხარჯების შემცირებას 30 % -ით ვაპირებთ, ასევე წარმომადგენლობით ხარჯებშიც, როგორც პრემიერ-მინისტრმა ბრძანა, 30%-იან დანაზოგს გავაკეთებთ; შევამცირებთ საპრემიო ფონდს - დანაზოგებს კი, რომელიმე პროექტის დასაფინანსებლად გამოვიყენებთ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა პრემიერ მინისტრის მიერ რეგიონების ხელმძღვანელებისთვის მიცემულ რჩევებზეც ისაუბრა. პრემიერის აზრით, მათი მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს რაიონის კეთილდღეობაზე და თითოეული ადამიანის პრობლემების მოგვარებაზე.

ეკა შავიძე

ორი წელი სასამართლო პროცესებზე და აღდგენილი თანამდებობა

2013 წლის ნოემბერში საქართველოს ფოსტაში მომხდარი ცნობილი საკადრო ცვლილებები ყველას კარგად გვახსოვს. ფოსტის სხვადასხვა სტრუქტურებიდან მაშინ დაახლოებით 120 თანამშრომელი იქნა დათხოვილი. რეორგანიზაცია ხარაგაულის ფოსტის დირექტორს მანანა ტოროშელიძესაც რომ შეეხო, ჩვენი გაზეთის მკითხველმა ესეც კარგად იცის. ამის შემდეგ სამართლიანობის აღსადგენად და დაკარგული თანამდებობის დასაბრუნებლად ქალბატონმა მანანამ სასამართლო ინსტანციას მიმართა. იგი თვლიდა, რომ უსამართლოდ და უსაფუძვლოდ იყო გათავისუფლებული, მაშინ როცა 45 წელიწადი ფოსტაში მუშაობას შეალია და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი საყვედურიც კი არ მიუღია.

„45 წელი ვიმუშავე ამ სისტემაში, ყველა პოზიცია, ყველა თანამდებობრივი საფეხური მაქვს გამოვლილი. ერთი საყვედურიც კი არ მახსოვს მიმეღოს. მას შემდეგ, რაც საქართველოს ფოსტის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დამითხოვეს სამსახურიდან. საქართველოს ფოსტისა და კავშირგაბმულობის პროფკავშირების დახმარებით ინდივიდუალური სარჩელი შევიტანე საქალაქო სასამართლოში. სარჩელის განხილვა 2013 წლის 22 ნოემბერს მოხდა, სასამართლოს გადაწყვეტილება კი 27 ნოემბერს გამოცხადდა და მოსამართლემ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება“.

ყველაფერი ამით არ დამთავრებულა საქალაქო სასამართლოში პროცესის მოგების შემდეგ, მანანა ტოროშელიძის წინააღმდეგ საქართველოს ფოსტამ საჩივარი სააპელაციო სასამართლოში შეიტანა. ისინი აღნიშნავდნენ რომ სასამართლო გადაწყვეტილება ცალსახა და არაობიექტური იყო და მოსამართლემ მხოლოდ და მხოლოდ მიკერძოებული გადაწყვეტილება გამოიტანა. სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, რის შემდეგაც საქართველოს ფოსტამ უკვე საკითხი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ კი საერთოდ არ განიხილა საკითხი და ქალბატონი მანანას სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ძალაში.

„თითქმის ორი წელი გავიდა სასამართლო პროცესებზე სიარულში. საბოლოოდ სამართალმა იზეიმა და ძველ თანამდებობაზე აღმადგინეს. პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც გვერდით მედგა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მგულშემატკივრობდა. ამ ფაქტმა თავის მხრივ ცხადყო, რომ საქართველოში სასამართლოები ღირსეულად მუშაობს. მადლობა უფალს, ღმერთი სამართლიანია.

ჩემი მხრივ, თუ კიდევ არავინ შემიშლის ხელს, კვლავ ვეცდები მრავალწლიანი გამოცდილება ისევ მოვახმარო ხარაგაულის ფოსტას. დაველოდოთ როგორ განვითარდება მოვლენები“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მანანა ტოროშელიძემ.

ვულოცავთ ქალბატონ მანანას წარმატებით მოგებულ სასამართლო პროცესებს და ძველ თანამდებობაზე აღდგენას.

თეა ბერიძე

„ხარაგაულკეთილმოწყობას“ მანქანა ორი წლის ვადით გადაეცა

11 მარტს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს. საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N5–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 85.0 კვ.მ ფართის ა(ა)იპ „სათნოების სახლისათვის“ გადაცემას.

მათ ასევე მხარი დაუჭირეს სოფელ უბისაში მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების ს.ს.ი.პ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით ორი წლის ვადით გადაცემის საკითხს.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი უბისის მონასტრის მიმდებარედ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. ფართი მათ წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად გადაეცათ.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებმულმა საკითხმა-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის უაზ 31514 სახელმწიფო ნომრით LEO 634 ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობისათვის“ გადაცემამ, საკრებულოს თავმჯდომარესა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს შორის დებატები გამოიწვია.

ვარლამ ჭიპაშვილს მიზანშეწონილად არ მიაჩნია კეთილმოწყობის სამსახურისათვის მანქანის გადაცემა, მაშინ როცა საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებს სრულფასოვანი მუშაობისათვის არ ჰყავს მანქანა. მისივე განმარტებით, მანქანის რემონტისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 3400 ლარია დახარჯული და მართებული არაა, რემონტის ხარჯები საკრებულომ გაიღოს, ხოლო მანქანა კეთილმოწყობის სამსახურს გადაეცეს.

ინგა მაღრაძის თქმით, „მუნიციპალიტეტს არ აქვს შესაძლებლობა

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულში ამბულატორიის მშენებლობა სრულდება

12 მარტს ხარაგაულს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ სამშენებლო კომპანია „აი-სი-ი-ეს“-ის დამფუძნებლებთან ერთად სამგლის სერზე ამბულატორიის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია, დარჩენილია მხოლოდ წვრილმანები, რომლებსაც ვარაუდობენ, რომ მარტის ბოლომდე დაასრულებენ. კომპანიის ორგანიზატორები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად გარკვეულ საკითხებზე შეჯერდნენ, შეთანხმდნენ და საბოლოოდ აღგვითქვეს, რომ დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებისთვის ხარაგაულში ამბულატორიის გახსნა დაიგეგმება.

„მთავარი შენობის დასრულებაა, როგორც ვხედავთ სამუშაოები ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ იგი მალე დასრულდება“ - აღნიშნა ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დავით ბიბილაშვილმა. „რაც შეეხება დანადგარებს, სპეციალურ აპარატებს, რენდგენებს და საერთოდ სამედიცინო ინვენტარს რითაც ხენებული ამბულატროია უნდა აღიჭურვოს, ყველაფერი უკვე შეძენილია და ამ მხრივ საქმეს არ გავაჭიანურებთ. შემოტანა-დამონტაჟების პროცესი ორ კვირაზე მეტ ხანს ნამდვილად არ გაგრძელდება. ასე რომ ხარაგაულში ემერჯენს ამბულატროია ძალიან მალე გაიხსნება“.

თეა ბერიძე

„ხარაგაულ კეთილმოწყობას“ მანქანა ორი წლის ვადით გადაეცა

◀ 1 გვ.

რომელიმე ა(ა)იპ-ს ახალი მანქანა შეუძინოს, ამიტომ უფრო გონივრულად მივიჩნიე, შიდა რესურსით დაგვეკმაყოფილებინა კეთილმოწყობის სამსახურის მოთხოვნა. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ადმინისტრაციული ხარჯები შევამციროთ. საკრებულოს განკარგულებაში სამი ავტომანქანა რჩება და კომისებისა და ფრაქციების საქმიანობას ხელი არ შეეშლებათ.“

ვარლამ ჭიპაშვილი: ქალბატონო ინგა, თქვენ ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებაზე საუბრობთ მაშინ, როცა კეთილმოწყობის სამსახურს მანქანის შენახვისათვის დამატებითი თანხები უნდა გამოუყოთ. ეს ხომ იგივე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხაა? კომისებმა რა ვქნათ, როგორ ვიმუშაოთ? სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის ხშირ შემთხვევაში ტაქსის დაქირავება მიწევს, თქვენ კი ათას ლიტრ საწვავს ხარჯავთ თვეში და სად, ესეც საკითხავია.“

საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაციით, კეთილმოწყობის სამსახურს ბიუჯეტში განსაზღვრული აქვს მანქანის საწვავის და მოვლა-შენახვის ხარჯები და დამატებითი ფინანსების გამოყოფა ამ მიმართულებით საჭირო აღარ იქნება.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი ბიუჯეტში მანქანების მომსახურებისათვის გამოყოფილ თანხებს შეეხო. მის თქმით, ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური თანხებია გათვალისწინებული, რაც საზოგადოებაში ბევრ საეჭვო კითხვას ბადებს. მან ასევე განცხადება გააკეთა მანქანებზე დეფექტური აქტების შედგენის საკითხზე. მისი განმარტებით დეფექტური აქტები ლიცენზირებულ სამსახურში არ კეთდება, მას თავად მძღოლები ადგენენ, რაც კანონდარღვევაა.

თორნიკე ავალიშვილის განცხადებას გამოეხმაურა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი.

„ბატონო თორნიკე, პრაქტიკიდან გამომდინარე, იქნებ გვითხრათ, თქვენი მმართველობის პერიოდში როგორ ადგენდით დეფექტურ აქტებს და როგორ გადარიცხეთ ბიუჯეტიდან 30 000 ლარი დამტვრეული მანქანის შესაკეთებლად“.

თორნიკე ავალიშვილის თქმით, მათ ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული ლიცენზირებულ სამსახურთან, რომელიც ადგენდა დეფექტურ აქტებს.

ვარლამ (ტატო) თავზარაშვილის განმარტებით, 2014 წლამდე სს „ავტოტრანსთან“ იყო ხელშეკრულება დადებული, რომელიც უზრუნველყოფდა დეფექტური აქტების შედგენას. მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ მიმართულებით ტენდერით გამოავლინოს რომელიმე ორგანიზაცია. ამის გამო, რამდენიმე დეფექტური აქტის შედგენა მართლაც მოხდა, მაგრამ არა მარტო მძღოლის მიერ, არამედ გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად, რომელსაც კომისიურად მუნიციპალიტეტის ექვსმა მძღოლმა მოაწერა ხელი.

კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ დეპუტატების უმრავლეობამ მხარი დაუჭირა ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობისათვის“ ორი წლის ვადით მანქანის გადაცემის საკითხს.

ეკა შავიძე

ხარაგაულში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაჟა მაჭავარიანის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. დახვნის ღირებულება 1ჰა-ზე 140 ლარია და პირველ რიგში იმ ბენეფიციარების ნაკვეთები იქნება მოხნული, რომლებიც ჩართული არიან მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში. მათ შპს „მექანიზატორის“ 9 ერთეული ტრაქტორი მოემსახურება. საჭიროების შემთხვევაში შპს „მექანიზატორის“ ზესტაფონის სერვის ცენტრიდან შესაძლებელი იქნება ტექნიკის დამატება. ამჟამად, პროექტის ფარგლებში, სოფელ კიცხში მოხნულია 18 ჰა მიწა.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 11 682 ბენეფიციარი ისარგებლებს, აქედან – 8 141 ხვნის ბარათით, ხოლო 3 541 - აგრობარათით. თუ მოსარგებლე ბარათის გამოყენების წესის შესაბამისად ვერ ახერხებს დაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ამ შემთხვევაში შეუძლია ბარათი დააბრუნოს გადასაცვლელად. რის შემდეგაც ფართობის შესაბამისად, აგრობარათზე დაერიცხება ქულები, 1ჰა-ზე გადაანგარიშებით 140 ლარი. შეგახსენებთ, რომ ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ნაკვეთი მიიღებენ სახნავ ბარათს ჰექტარზე -140 ლარის გაანგარიშებით, ხოლო ფერმერებს, რომელთა მიწის ფართობი 0,25 ჰა-მდეა, აგრობარათზე დაერიცხებათ 50 ლარი.

აგრობარათი „ლიბერთი ბანკის ფილიალებში“ გაიცემა, ბარათზე არსებული თანხის განაღდება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებში. ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება შეიძინოს პროექტით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქონელი (სასუქი, სათესლე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები). აგრობარათებით სარგებლობა 20 მარტიდან იქნება შესაძლებელი.

ეკა შავიძე

საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას“ ფინანსური პრობლემები აქვს

ხარაგაულის საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ 2009 წელს დაფუძნდა და იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. გუნდის დაფინანსების საკითხი მუდმივად იწვევეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფების უკმაყოფილებას. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და აზრთა სხვადასხვაობისა „ჩხერიმელა“ დღემდე შენარჩუნებულ იქნა და პირველ ლიგაშიც ირიცხება. გუნდში ამჟამად ოცი ფეხბურთელი თამაშობს, მათგან ცხრა ხარაგაულელია. მიმდინარე წელს საფეხბურთო კლუბი 140 ათასი ლარით დაფინანსდა, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ არის და ისინი გარკვეული პრობლემების წინაშე დგანან.

როგორც გუნდის დირექტორი, ზურაბ გიორგიძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, „დაფინანსების კუთხით გუნდში სერიოზული პრობლემებია. გასულ წელს ფეხბურთის ფედერაციიდან მივიღეთ 50 000 ლარი. იმედი გვქონდა, წელსაც დაგვაფინანსებდნენ, მაგრამ ვიდრე ფედერაციაში ადმინისტრაცია არ შეიცვლება, არაფერი გვეშველება. კლუბს აქვს საკმაოდ მცირე დაფინანსება, თუმცა ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ წარმატებისათვის, ხანდახან საკუთარი ჯიბიდან მიწევს ფულის გაღება გუნდის შესანარჩუნებლად. მიმდინარე წლის დასასრულამდე 80 ათასი ლარით თუ არ დავფინანსდით, სავარაუდოდ გუნდი დაიშლება. რამდენიმე თამაში გვქონდა, რომელიც საკმაოდ კარგი შედეგებით დასრულდა. ხარაგაულში ფეხბურთის გუნდის არსებობა ერთგვარი სასიცოცხლო ნიშანია, ამიტომ მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ „ჩხერიმელა“ შენარჩუნებულ იქნას.

ეკა შავიძე

„ნორჩ ჩხერიმელას“ ნაკრების წევრებს საჩუქრები გადაეცათ

10 მარტს, ხარაგაულს, სადისტრიბუციო კომპანია შპს „გეოიმპექსის“ წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელობის სტადიონზე „ნორჩ ჩხერიმელას“ ნაკრების წევრებს საჩუქრები გადასცეს. აღნიშნული კომპანია ყავა „პელეს“ ოფიციალური დილერია საქართველოში და უკვე დიდი ხანია, აქციის ფარგლებში საკუთარი სახსრებით მომავალ ფეხბურთელებს წამახალისებელი საჩუქრებითა და სხვადასხვა აქსესუარით ანებივრებს. სწორედ ასეთი სახის აქცია გაიმართა ხარაგაულში. კომპანიამ ბავშვებს სპორტული ჩანთები, მაისურები, ქუდები და ფეხბურთის ბურთები გადასცა. „საქველმოქმედო აქციებს რეგიონების მასშტაბით ვატარებთ. პრიორიტეტად იმ რაიონს მივიჩნევთ, რომელთა საფეხბურთო სკოლების ბავშვებიც ცოტა მოკლებულნი არიან ასეთი სახის ღონისძიებებს, წამახალისებელ საჩუქრებს. ნახეთ ალბათ როგორი ემოციებით გამოხატავდნენ ისინი სიხარულს. ყოველივე ეს ჩვენ სტიმულს გვაძლევს, რათა ასეთი აქციები უფრო მაშტაბური გავხადოთ. ყველა ის ნივთი და აქსესუარი რაც ჩვენ დღეს აქ ჩამოვიტანეთ, უშუალოდ ბრაზილიიდანაა გამოგზავნილი. მინდა, სპორტულ კარიერაში, წარმატებები ვუსურვო ხარაგაულელ ბავშვებს, მოხარული ვიქნები თუ მათ სახელებსა და გვარებს ცნობილ საფეხბურთო კლუბებში ვიხილავ“ - აღნიშნა „გეოიმპექსის“ მენეჯერმა შმაგი ბზიკაძემ.

თეა ბერიძე

სამუსიკო სკოლაში გაზაფხულის დადგომა მუსიკალური ჰანგებით აღნიშნეს

11 მარტს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ტრადიციული საგაზაფხულო ზეიმი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას მუსიკალური სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე იღებდა. მათ დამსწრე საზოგადოებას გაზაფხულის დადგომა მუსიკალური ჰანგებით მიულოცეს. შესრულდა ცნობილი კომპოზიტორების უკვდავი შედევრები, სხვადასხვა ლამაზი ნაწარმოები, რომელთაგან ზოგიერთი ვიოლინოს თანხლებით მიმდინარეობდა, რაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავ ელფერს სძენდა საგაზაფხულო ზეიმს. სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლალი ალექსიძემ, მსმენელებს გაზაფხულის დადგომა მიულოცა. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პედაგოგებს თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომისთვის, იმ ღვაწლისთვის, რასაც ისინი სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მიმართ იღებენ. „ყველას გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას, ჩემო საყვარლებო, ლამაზებო, ისედაც თბილი გაზაფხულის დღეებს თქვენ მიერ აჟღერებული ჰანგები კიდევ უფრო ათბობს და ალამაზებს. მეამაყებით და თოთოეულ თქვენგანს მუსიკალურ სამყაროში უდიდესი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ“ - მიმართა ქალბატონმა ლალიმ მოსწავლეებს. აქვე აღნიშნა, რომ მარტის ბოლოს რესპუბლიკური ტური „მომავლის ვარსკვლავები“ გაიმართება, რომელშიც სამუსიკო სკოლის ორი მოსწავლე, სალომე მაჭავარიანი (ფორტეპიანო – პედაგოგი დარეჯან გვაძაბია) და ანა მაჭავარიანი (ვიოლინო – პედაგოგი თამარ ჩიმაკაძე) მიიღებენ მონაწილეობას. „ამ ტურისთვის განსაკუთრებულად, სერიოზულად ვემზადებით. იმედია ჩვენი შრომა შედეგს გამოიღებს და სალომე და ანა მომავლის ვარსკვლავები გახდებიან“.

თამარ მაღრაძე

შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ!

მარტის თვის პირველი დეკადის ტრადიციული დღესასწაულებით („დედის დღე“, „ქალთა დღე„) მთელი სხივმოსილებითაა გამოხატული სამადლობელი სამყაროს უნაზესი და უმშვენიერესი ქმნილების, ქალის, მიმართ. გაზაფხული, ქალი, სიცოცხლე - ეს საოცარი სიტყვები - ერთ განზომილებაში თავსდება და ერთი ცნებით იკვეთება - სიცოცხლე! ამ ღვთიური ცნების ქვაკუთხედია ქალი, დედა, მეუღლე, თანამეცხედრე... მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების საგანძურში რომ ქალის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, არც ესაა შემთხვევითი...

***

გასულ წელს საზოგადოების მსჯელობის საკითხი იყო ქალთა მიმართ ძალადობა. შემზარავი ფაქტები გამოვლინდა... ოჯახური ყოფის ყოველ ეტაპზე აქტუალური იყო და არის დღესაც ისეთი საშინელი აქტი, როგორცაა აბორტი. იგი ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

ძვირფასო მკითხველო!

აღნიშნული ძალზე ფაქიზი საკითხია. მე არც მედიკოსი ვარ და არც ჯანდაცვის სფეროს მუშაკი, მაგრამ ვარ ქალი, დედა, მოქალაქე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული სფეროც აწუხებს და, ზოგადად, ქალთა მდგომარეობაც. საუბრობენ აბორტზე და მთელი რისხვა თავს ატყდება ქალს. სიცოცხლის საწყისი ქალი, დედობის, ბედნიერებისა და სითბო-სინაზის გრძნობის მატარებელი ქალი, არის სიცოცხლის საწყის ეტაპზე მომსპობ-გამანადგურებელი, მკვლელი, შვილთა მკვლელი - როგორ ფიქრობთ, ამაზე უმძიმესი სასჯელი არსებობს?

ძალიან მძიმეა ეს განაჩენი, მაგრამ იმავე დროს რატომ არ ხდება იმ სოციალური ფონის ჩვენება, რომელშიც დღეს ქალი იმყოფება. აშკარად ვხედავთ, რომ მამა-მარჩენალი დღეს დედა-მარჩენალმა შეცვალა.

ამას წინათ ერთ მშვენიერ პოეტურ კრებულში ასეთი სტრიქონები ამოვიკითხე:

„შესარცხვენს იწყებს მატიანეს,
ქვითინებს ქარი,
სხვა ქვეყნის ბავშვებს დასტრიალებს
ქართველი ქალი...“

რატომ? რატომ გადაიხვეწა უცხოეთში? განა მობეზრდა საკუთარი ქმარ-შვილის მოვლა? საკუთარ ეზო-კარში ფუსფუსი? რასაკვირველია, არა!

ხშირად სიამაყით ვაცხადებთ ხმამაღლა, რომ რუსთაველის ქვეყნის შვილები ვართ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ XII საუკუნიდან შეგვაგონებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“

და აგერ ჩვენს დღევანდელობაში უამრავი დისერტაციაა დაცული გენდერულ თანასწორობაზე. დემოკრატიისა და გენდერული თანასწორობის სრული აყვავება - გაფურჩქვნის პერიოდში ავლაპარაკდით, რომ პარლამენტში საერთო შემადგენლობის სულ რაღაც 12% უკავიათ ქალებს. (რაოდენობრივად ეს რიცხვი არის 18) თუმცა ირკვევა, რომ არც მსოფლიო მასშტაბითაა თურმე ბალანსი ქალების სასარგებლოდ გადაწყვეტილი და მხოლოდ 21 პროცენტს შეადგენს. ჩვენ თურმე საკმაოდ ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს და რეიტინგით 105-ე ადგილზე ვართ სირიასთან ერთად.!!

(ჰოდა, არ დაგვავიწყდეს, ეს მონაცემები იმ სადღეგრძელოს მივაბათ, თამარ მეფის ღვაწლის წარმოსაჩენად, ქართველი ქალის სადიდებლად რომ წარმოვთქვამთ ხოლმე, თანაც განსხვავებული სასმისით!)

ძვირფასო ქალბატონებო!

თქვენს სითბო-სიყვარულს ვუერთებ ჩემს გულისთქმას, გეფერებით და ვინატრებ, რომ ქმარ-შვილთან, ახლობლებთან ერთად გეზეიმოთ დედის დღეც, ქალთა დღეც და ყველა ჭეშმარიტი დღესასწაული. ისე წარმართულიყოს ცხოვრება, რომ მამა-მარჩენალს რეალურად დაბრუნებოდეს თავისი ფუნქცია და თვქენ კი დედა-მარჩენილის ტკივილიანი სტატუსი მოგშორებოდეთ, გაგძლიერებოდეთ ის უპირველესი მისია, რომლისთვისაც უფალმა ამქვეყნიურ მზიანეთში მოგავლინათ!

და მაინც, მინდა, უსაყვარლესი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ძახილი“ შემოგთავაზოთ:

ზძახილი

რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა შენს გულთან მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი,-
სიცხიანს, მწუხარს კულულზე გკოცნი.

მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ -
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.

მადლობა უფალს, რომ არ დაგვღუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები

როგორ მინდოდა მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო„
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.

ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მაკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.

ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ, გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.

თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გააწბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და პლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?

***

ჰოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!
ვინ მოუაროს შენს ზვრებს და ანბანს,
შენს ხმებს, ჩუქურთმებს, იმედებს, სიზმრებს.
მაგ ცოდვას რაღა მირონი გაბანს
და მაინც გამშრალ ტუჩებზე ვიმვცრევ!
მირონო, ჩემო მიწის მირონო,
იმედო, რწმენავ - სულ შემენახე,
სულ იარაგვე, სულ ირიონე,
სულ იჯეჯილე, სულ ივენახე.
კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჰყივის ლექსი და ციხის ქონგური.
მიწაში, დედავ...
და ვინ დათვალოს
შვილი და ძირი, ჩემებრ მოკლული.
თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთის არცერთი...
შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხებით,
აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!..

... ეს საგაზეთო წერილი რომ დავასრულე, ქუჩაში გამოვედი ახლობლის სახლისაკენ გავეშურე; მახლობელ ეზოდან ოთხი მოზარდის სიცოცხლით სავსე ღვთიურმა სახემ შემომანათა... ცოტაც და სახლიდან ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონი გამოვიდა ბავშვით ხელში, ჩამოჯდა ძელსკამზე, შემოეხვივნენ შვილები... გზის მეორე მხარეს შევჩერდი, ნაბიჯი ვეღარ წავდგი წინ, ერთბაშად ამ მადლმა დამატყვევა და უჩუმრად მოწყდა ჩემს ბაგეებს სიცოცხლის პოეტური საგალობელი:

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს
როცა თქვენ გაჩნდით ამ ქვეყანაზე„!
ამინ!

მერი გიორგიძე

ბენეფიციარებზე ბიოენერგოაქტივატორების უფასოდ გაცემა დაიწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით პროექტის „ქართველი მეცნიერების მიღწევების დანერგვა სოფლის მეურნეობაში ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით“ ამოქმედება მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. 19 თებერვალს, ხარაგაულის გამგეობაში ჩატარებულ შეხვედრაზე, პროექტის კოორდინატორმა ბატონმა მურმან არჯევანიძემ გააკეთა განცხადება, რომ ის ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან უფასოდ მიიღებენ ბიოენერგოაქტივატორებს და ამას მუნიციპალიტეტის გამგეობა დააფინანსებს.

ბიონერგოაქტივატორები უკვე ჩამოვიდა და დაბა ხარაგაულში, მუნიციპალიტეტის გამგეობის გვერდით, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N1-ში მდებარე ფიტო აფთიაქში განთავსდა.

11 მარტს მურმან არჯევანიძემ აღნიშნულ აფთიაქში შეხვედრა მოაწყო და განაცხადა: „დღეიდან უკვე დარეგისტრირებულ ბენეფიციარებს შეუძლიათ მოვიდნენ და კუთვნილი ბიორაგები უფასოდ წაიღონ. იგი ასევე იქნება თავისუფალ გაყიდვაშიც. 100 გრამის ფასი - 18 ლარია. ყველაზე დიდი რაოდენობა რაც შეიძლება გლეხს ჩვენს პირობებში დასჭირდეს, მაქსიმუმ 200-300 გრამია. გეტყვით რომ 1 ლიტრი ბიოენერგოაქტივატორი 200 ლიტრ წყალში იხსნება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გამოყენებადი. ზემოთხსენებული პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება და ვიმედოვნებ, რომ ქართველი გლეხის მოსავლიანობის დონე საკმაოდ მაღლა აიწევს“.

ბატონმა მურმანმა ერთხელ კიდევ უფრო კონკრეტულად და ვრცლად ისაუბრა ბიოენერგოაქტივატორების მნიშვნელობასა და როლზე ქართული კულტურების მოსავლიანობის გაზრდაში. „დიდი და ეფექტურია განსხვავება ჩვეულებრივ გაუჯერებელ და ბიოაქტივატორით გაჯერებულ ნიადაგში მოყვანილ კულტურებს შორის. როცა პრაქტიკაში ამას ნახავთ, გაოცდებით. ხელთ გვაქვს ინსტრუქცია, სადაც დაწვრილებით წერია როგორ უნდა გამოვიყენოთ ბიორაგები. თუ იგი საკმარისი რაოდენობით გვაქვს შეგვიძლია პირდაპირ ნარგავის ძირში დავასხათ, მაგრამ თუ ცოტა გვინდა დავზოგოთ მაშინ აუცილებელია ნერგის გარშემო ამოვბაროთ ისე, რომ ფესვი გამოვაჩინოთ, და უშუალოდ ფესვში შევიყვანოთ ბიოენერგოაქტივატორი. იგი არ შეიცავს არანაირ ქიმიურ ნივთიერაბას და არც ცოცხალი ორგანიზმისთვისაა არაა საშიში.

თეა ბერიძე

ხარაგაულის N2 საჯარო სკოლაში უცხოენოვანი ღონისძიება ჩატარდა

ხარაგაულის N2 საჯარო სკოლაში, უცხო ენის კათედრის უფროსის, მარინა ალავიძის ხელმძღვანელობით, უცხოენოვანი ღონისძიება ჩატარდა. კონცერტში მონაწილეობას, ქვეყნების მიხედვით შესაბამის ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი, IV – XIკლასის მოსწავლეები იღებდნენ. შესრულდა ინგლისურ (პედაგოგები – მარიკა გოლუბიანი და ლელა სხილაძე), რუსულ (პედაგოგი – მარინა ალავიძე), ფრანგულ (პედაგოგი – თამარ მაღრაძე) და გერმანულ (პადაგოგი – ხათუნა მანჯავიძე) ენებზე ლექსები, ცეკვა და სიმღერები. ღონისძიებას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდა.

უცხო ენის კათედრის თანამშრომლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით, სასკოლო პროგრამაში მხოლოდ ინგლისურ და რუსულ ენებს ანიჭებენ გარკვეულ პრივილეგიებს. N2 საჯარო სკოლაში კი ოთხივე უცხო ენა თანაბრობის პრინციპით ისწავლება. პედაგოგების თქმით, მსგავსი ღონისძიებები ენების პოპულარიზაციისთვის საჭირო და აუცილებელია.

N2 საჯარო სკოლის დირექტორის, ვალერი გოგნაძის ინფორმაციით, „ღონისძიების ჩატარება მიმდინარე წლის მეორე სემესტრში იყო დაგეგმილი, მაგრამ უცხო ენების კათედრამ იგი გაზაფხულის დღესასწაულებს დაუკავშირა. სკოლაში ნამდვილად კარგი თაობა მოდის, რაც თვალნათლივ ჩანს და დამსწრე საზოგადოების მხრიდან დიდ მოწონებასაც იმსახურებს. მომავალში ვგეგმავთ ასეთ ღონისძიებებს პროექტის სახე მივცეთ და უფრო მასშტაბური გავხადოთ. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, სასწავლო წლის დასრულებამდე მსგავსი ღონისძიება კინოთეატრშიც ჩავატაროთ. ვფიქრობ, ეს სხვა პედაგოგებს უფრო მეტ სტიმულს მისცემს. დღევანდელი დღე მეტად საინტერესო იყო. ღონისძიების ორგანიზატორებმა მაყურებელთა და მშობელთა კარგი შეფასება მიიღეს და ბევრი სამადლობელი სიტყვებიც დაიმსახურეს.“

დასასრულს ბატონმა ვალერმა უცხო ენის კათედრის პედაგოგებს მადლობა გადაუხადა და სიგელებით დააჯილდოვა.

თამარ მაღრაძე

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ხარაგაულში

8 მარტს ხარაგაულის კინოთეატრში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა. ღონისძიება კულტურის ცენტრისა (დირექტორი ვასილ კიკნაძე) და გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) ორგანიზებით გაიმართა. კონცერტის დაწყებამდე, კინოთეატრის ფოიეში, საქველმოქმედო აქცია, ყვავილების გამოფენა – გაყიდვა მოეწყო. აქციიდან შემოსული თანხა კი ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში გადაირიცხა.

ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ვასილ კიკნაძემ გახსნა. მან ქალბატონებს ვალერი გოგნაძის ლექსით მარტის დღესასწაულები მიულოცა. საღამო ქალბატონი ირინე ჩხეიძის წაკითხულმა ლექსმა უფრო შთამბეჭდავი გახადა. ღონისძიებაზე კულტურის ცენტრთან არსებული იუმორისტული ჯგუფის (ხელმძღვანელი მამუკა ჭიპაშვილი) „მხიარული სასიძოების“ დებიუტი შედგა. ბიჭებმა დარბაზში მყოფ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და სიმბოლურად ყვავილები გადასცეს.

ქუთაისის უნივერსიტეტის კულტურული ცენტრის კოორდინატორი ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ესტუმრა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტში ქუთაისის უნივერსიტეტის კულტურული ცენტრის კოორდინატორმა, ქალბატონმა მზია ჟორჟოლიანმა, შეხვედრა გამართა. მან ხარაგაულის საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის წარმომადგენლებს განუმარტა, თუ რატომ უნდა აირჩიოს აბიტურიენტმა ქუთაისის უნივერსიტეტი.

ქალბატონი მზიას თქმით: „ქუთაისის უნივერსიტეტი, დედაქალაქის გარეთ, ერთადერთი კერძო, ავტორიზებული და აკრედიტირებული უნივერსიტეტია მთელ საქართველოში. იგი პროფილური ხასიათისაა და აქ ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებებია ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება და ტურიზმის მენეჯმენტი. გვაქვს სოციალური პროექტებიც, რომელიც ამ სტატუსის ქვეშ მყოფი სტუდენტებისთვის ხელშეწყობას და გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. უპირველეს ყოვლისა ეს სწავლის გადასახადზე აისახება. უნივერსიტეტში წლიური გადასახადი 2 250 ლარია. აბიტურიენტი, რომელიც განაცხადში პირველ ადგილზე ქუთაისის უნივერსიტეტს მიუთითებს მისი წლიური გადასახადი 2 000 ლარი იქნება. წარჩინებული სტუდენტები სტიპენდიებს მიიღებენ. უნივერსიტეტში, მიმდინარე წელს, მეექვსე საგრანტო კონკურსი ჩატარდება და იგი 28 – 29 მარტს გაიმართება. კონკურსისთვის შერჩეული ტესტები ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმატისაა. გრანტის მოსაპოვებლად საჭიროა მინიმალური ქულა 40, ხოლო მაქსიმალური – 80. აბიტურიენტი, რომელიც უმაღლეს ქულას მიიღებს, 4 წლის განმავლობაში, ქუთაისის უნივერსიტეტიდან სრულად დაფინანსდება. ხოლო მე-2, მე-3 ადგილზე გასული აბიტურიენტები 50%-იან ფასდაკლებას მიიღებენ. თუ ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტს ექნება 100%-იანი დაფინანსება და იგი, ამავდროულად ჩვენს გრანტსაც მოიპოვებს, ეს უკანასკნელი მას სტიპენდიის სახით შეუნარჩუნდება.

ქუთაისის უნივერსიტეტს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობით, საქართველოს კერძო უნივერსიტეტებს შორის, პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენთან საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დიდი არჩევანია. მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები სასწავლებლად ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მიემგზავრებიან. ვუზრუნველყოფთ აბიტურიენტების პრაქტიკას და სტაჟირებას საქართველოს წამყვან ბანკებში, სადაზღვეო კომპანიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უნივერსიტეტი გაძლევთ შანსს სწავლის პარალერულად დასაქმდეთ, გაემგზავროთ უცხოეთში და გაიაროთ სასწავლო პროგრამა დისტანციურ რეჟიმში.

კონკურსი გაძლევთ შანსს:

დაადგინოთ რამდენად მზად ხართ ზოგადი უნარების გამოცდის ჩასაბარებლად;

დარწმუნდეთ თქვენს ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში;

მოიპოვოთ უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ერთი 100% – იანი და ორი 50% – იანი სასწავლო გრანტი 4 წლის განმავლობაში;

სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში უფასო სწავლის პარალერულად მოიპოვოთ სოლიდური ყოველთვიური სტიპენტია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ XII კლასის მოსწავლეებს ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე პირებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ქუთაისის უნივერსიტეტში პირველ სართულზე ან ინტერნეტით ფოსტაზე: unik.grant@gmail.com.

რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოთ:

ცნობა სკოლიდან, რომ ირიცხებით XII კლასის მოსწავლედ ან სრული ზოგადი განათლების ატესტატი;

პირადობის მოწმობის ასლი.

ვადები:

რეგისტრაცია – არაუგვიანეს 26 მარტისა;

ტესტირება – 28 – 29 მარტს.

კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ.N13, www.unik.edu.ge

ტელ: 0 (431) 24 23 73; + 995 599 50 59 56; + 995 514 70 40 07.

თამარ მაღრაძე

სტუმრად პირველ მასწავლებელთან

შემოქმედ ადამიანს შთაგონების წუთები ახარებს. მასწავლებელს თვალჟუჟუნა გოგო - ბიჭების ცქერა, იმათი სიყვარული ასულდგმულებს, ფრთებს ასხამს და ცხოვრებას ულამაზებს.

3 მარტი ფრთების შემსხმელი და ცხოვრების გამლამაზებელი იყო, როცა კიცხის საჯარო სკოლის მეათე კლასელები თავის პირველ მასწავლებელს, ქალბატონ ნაზი თუთბერიძეს ეწვივნენ. უსაზღვრო სიყვარული და დიდი სიხარული გამოხატა მასწავლებელმა მათ მიმართ. სახე გაბრწყინებული და სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდნენ მოსწავლეები ჭაღარა მასწავლებელს და იმ სასიამოვნო დღეებსა და წუთებს იგონებდნენ, რომელიც ოთხი წლის მანძილზე ერთად განვლეს. მასწავლებელმა მათ მიმართ სიყვარული, სითბო და სიხარული ლექსებში გამოხატა, რომელიც მიუძღვნა: ლანას, ჯემალს, ანას, დიმას, დალის, გიორგის, ქრისტინეს და დიმას.

„მზის სხივებსაც უხარიათ,
ამ სიხარულს ნეტავ რა სჯობს?!
იხარეთ და იდღეგრძელეთ,
თქვენ აქ მოსვლას გაუმარჯოს!
ყველას ერთად გადღეგრძელებთ
დღეს თქვენ გამიხარეთ გული,
ჩემთან მოსვლით დაამტკიცეთ
მასწავლებლის სიყვარული.
სკოლას რომ დავემშვიდობე,
გულნატკენი, დაზაფრული,
ჩემთვის აღარ არსებობდა
არც სითბო, არც გაზაფხული.
დღეს ეს რწმენა თქვენ შეცვალეთ,
მაგრძნობინეთ სითბო დიდი,
უფალს ვთხოვ, რომ გაიხაროთ
და ცხოვრება გქონდეთ მშვიდი.
დიდ წარმატებებს გისურვებთ,
დიდ ცხოვრების სავალ გზაზე,
მოთმინებაც დიდი გქონდეთ,
ნუ გადახვალთ ნურსად ზღვარზე.„

კიცხის საჯარო სკოლის მე-10 კლასი
იამზე პავლაძე

იმერეთის კალათბურთის ჩემპიონატი დაიწყო

1 მარტს სტარტი აიღო იმერეთის კალათბურთის ჩემპიონატმა 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის. ჩემპიონატის მონაწილეები 2 ჯგუფში არიან განაწილებული. „ა“ ჯგუფის პირველი ტური წყალტუბოში გაიმართა. „ბ“ ჯგუფის გუნდების შეხვედრებს ხარაგაულის სპორტული დარბაზი მასპინძლობს. 8 მარტს ერთმანეთს საჩხერე-ჭიათურისა და ხარაგაული-ზესტაფონის გუნდები დაუპირისპირდნენ.

ღონისძიების საზეიმო გახსნაზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი. მან მონაწილე გუნდებს წარმატებები უსურვა.

საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა „უბისმა“ და ბორის სკოლა-პანსიონთან არსებულმა ფოლკლორულმა გუნდმა „მთიები“.

იმერეთის ჩემპიონატი ჭაბუკთა გუნდებს შორის, შეხვედრები შემდეგი შედეგებით დასრულდა: საჩხერე - ჭიათურა 61:42; ხარაგაული - ზესტაფონი 59:31

განკარგულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა #5–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 85.0 კვმ. ფართის ა.ა.ი.პ. „სათნოების სახლისათვის“ გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგეგლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 122–ე მუხლის მე-6 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს .ა.ა.ი.პ. „სათნოების სახლს“ დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა №5–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 85.0 კვმ.ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის წესით ბენეფიციართა სასადილოს მოსაწყობად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე

განკარგულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა უაზ31514 სახ.#LEO 634 ა.ა.ი.პ. „ხარაგაულკეთილმოწყობისათვის გადასაცემად მუნიციპალიტეტის გამგეგლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 122–ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს .ა.ა.ი.პ. „ხარაგაულკეთილმოწყობას “ თხოვების ფორმით ორი წლის ვადით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა უაზ 31514 სახ. №LEO 634.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე

განკარგულება

ს.ს.ი.პ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით ორი წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეგლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 122–ე მუხლის მე -6 პუნქტის, და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმდინარე წლის 23 თებერვლის № 499 მომართვის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადასცეს ს.ს.ი.პ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს უსასყიდლო აღნაგობის უფლებით ორი წლის ვადით სოფელ უბისაში მონასტრის მიმდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი 36.03.44.261; და 36.03.44.262) წყალმომარაგება კანალიზაციის სისტემის მოსანყობად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე

„ჩხერიმელას“ მორიგი წარმატება

9 მარტს ხარაგაულში პირველი ლიგის გუნდებს შორის კიდევ ერთი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხარაგაულის „ჩხერიმელა“ და „სტუ დინამო“. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში „სტუ დინამოს“ კარში გოლები გაიტანეს თორნიკე კიკნაძემ და თემურ სანიკიძემ. თამაშის მეორე ტაიმიც საინტერესოდ წარიმართა. თემურ სანიკიმემ მოწინააღმდეგის კარში კიდევ ერთი გოლის გატანა მოახერხა. თამაში „ჩხერიმელას“ გამარჯვებით დასრულდა. „ჩხერიმელა„ - „სტუ დინამო“ 3:1.

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.